# საქართველო

№ 4 ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 5 ივლისი 1942


## სევასტოპოლის აღება.

ფიურერის მთავარი შტაბითგან.

1 ივლისი.

უმაღლესი სარდლობა იუწყება: სევასტოპოლი დაეცა!

ციხეზედ, ქალაქზედ და ნავთ-სადგურზედ ფრიალებენ გერმანიისა და რუმინიის სამხედრო დროშები! ღენერალ - ობერსტის ფონ მანშტაინის წინამძღოლობით გერმანიისა და რუმინიის ჯარებმა, რომლებსაც ბრწყინვალედ ეხმარებოდა ახლო ბრძოლებში გამოცდილი საავიაცო კორპუსი ღენერალ-ობერსტის ფრაიჰერრ ფონ რიხტჰოვენისა, 25 დღის გამწარებული ბრძოლის შემდეგ 1 ივლისს შუა-დღისას აიღეს აქამდე მთელ ქვეყანაზედ უმაგრესი ხმელეთისა და ზღვის ციხე.

ძლიერი ფორტები, კლდეებში გამოჭრილი სიმაგრეები, მიწის-ქვეშ აშენებული საბრძოლი საფრები, ბეტონისა და მიწის ბუნკერები და აგრეთვე ურიცხვი ველის სიმაგრეები იქმნენ ალებულნი ყველა იარაღის სამაგალითო შეთანხმებული მოქმედებით.

ტყვეთა და დავლის ანგარიში ჯერ შეუძლებელია.

ნაშთნი სევასტოპოლის დამარცხებული არმიისა გაიქცევ ხერსონის ნახევარი-კუნძულზედ. ვიწრო ადგილის მო-

რიაქებდა მას ვით შევარდენი ყვავ-ყორნის გუნდსა. მან არა ერთხელ გასცა ღირსეული და მრისხანე პასუხი სამშობლოს ნამუსის ამხდელთ და შეურაცმყოფელთ, არა ერთხელ დაუმტკიცა მტერს, რომ საქართველო მონობას არასოდეს არ შეურიგდება.

1924 წლის დიდი ამბოხების დამარცხების შემდეგ, ქაქუცა იძულებული შეიქმნა სამშობლო დაეტოვებინა და უცხოეთში გახიზნულიყო, და აქ იწყება უსაზღვრო ტანჯვა მისი სულისა; მას სურს ისევ ქართველ ერთან ყოფნა, სამშობლოს ტრაღედია და წამება მას მოსვენებას არ აძლევს. ფრთებ მოკვეცილი არწივი კვლავ საქართველოში გადაფრენაზედ და ბრძოლის განახლებაზედ ოცნებობს. მაგრამ საუბედუროდ ბედი ღალატობს მას; ქაქუცა სნეულდება და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სამუდამოდ სტოვებს წუთისოფელს.

რამდენად მწარე იყო ხვედრი ამ სახელოვანი გმირისა! მას არ დასცალდა ეხილა დაგვირგვინება იმ დიადი ბრძოლისა, რომელსაც იგი აწარმოებდა უმსგავსო მამაცობით და თავგანწირვით სამშობლოს დასახსნელად და განსათავისუფლებლად. იგი მოკვდა უცხო მხარეში, შორს მამაპაპათა საფლავთაგან.

საქართველოს ცრემლი არ დაეცა მის ცხედარს, ძაძებში მოსილმა ქართველმა ერმა ის სამარემდე ვერ მიაცილა, ნუგეშად მას კუბოში მხოლოდ ერთი მუჭა ქართული მიწა ჩაჰყვა, რომელიც მას საქართველოთგან ჰქონდა წამოღებული და რომელსაც განუყრელად მუდამ თან ატარებდა.

მაგრამ თუ სამშობლომ მას ვერ აუგო ჯერ ძეგლი უკვდავებისა, მისმა გმირობამ და თავგანწირვამ ხელთუქმნელი ძეგლი მისი ააგო ჩვენს გულში. როგორც პროფესორი მ. წერეთელი გაზეთ „თეთრი გიორგი"-ში სწერდა, ქაქუცას ორი სამარე აქვს: ერთი ცივი, უცხო მიწაში, მეორე თბილი, ჩვენს გულში, სამარე სამარადისო ხსოვნისა და სიყვარულისა, მაგრამ მოვა დრო, და სამშობლო მიწას მივაბარებთ მას, სამარედ ხსოვნისა და სიყვარულისა კი მისთვის მთელი ქართველი ერის გული გახდება. მაშინ აღსდგება იგი მიწის სამარითგან და ქვის სახით თავისუფლების ფოლოცზედ აღიმართება იგი საქართველოს წინაშე, კეთილშობილი, ძლიერი და შვენიერი, როგორც საუკუნო მაგალითი შეუდრეკელი სიმხნით, სიმამაცით და სიყვარულით სამშობლოსათვის თავის დადებისა.

მალე დადგება ეს სანატრელი ჟამი, ძვირფასო ქაქუცა! და საყვარელ საუნ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზოგადო მიმოხილვა სამხედრო მოქმედებათა.

აღმოსავლეთ ფრონტზედ სევასტოპოლის ციხის ასაღებად ბრძოლები გრძელდებოდა. 13 ივნისს გერმანელებმა აიღეს დიდი სიმაგრე „სტალინი“, 16 ივნისს „ციმბირი“, 17 ივნისს დაეცა უმაგრესი ციხე ჩრდილოეთის მხარეზედ „მაქსიმ გორკი“. აგრეთვე სამხრეთის მხრითგან შეანგრიეს გერმანელებმა სევასტოპოლის სიმაგრეები. ნავთ-სადგურის შესავალს იგინი მიუახლოვდენ 3 კილომეტრით. პიონერებმა უვნებელ ჰყვეს 20 000 ნაღმი და გაანადგურეს 700 ბეტონის ბუნკერი. ბოლშევიკების ჯარები, რომლებმაც სცადეს ევპატორიაში, იალტაში და მარიუპოლში გადმომსხდარიყვნენ, უკუგდებულ იქმნენ. შემდეგ იქმნა აღებული ძლიერად დაცული ციხე „ლენინი“. ქალაქ სევასტოპოლს და მის ნავთ-სადგურს უკვე ზარბაზნებს უშენენ. სამხრეთი მხრითგან გერმანიისა და რუმინიის ჯარები წინ მიდიან. წარსული კვირის ბოლოს იგინი შეიჭრენ სიმაგრეთა სისტემაში აგრეთვე აღმოსავლეთის მხრით და აიღეს სიმაგრეები. 7 ივნისითგან 22-მდე ტყვედ წამოიყვანეს 11 000 ბოლშევიკი და წამოიღეს 150 ზარბაზანზედ მეტი, აიღეს 2000 საბრძოლო საფარი და უვნებელ ჰყვეს 65 000 ნაღმი. მარიუპოლთან გააქციეს 25 საბჭოთა გემი, რომლებსაც ჯარის გადმოსხმა უნდოდათ.

---

ხარკოვითგან აღმოსავლეთით გერმანელებმა აიღეს უკანასკნელი საბჭოთა ხიდის თავი დონეცის დასავლეთ ნაპირზედ და წავიდენ წინ ჩრდილოეთის მიმართულებით. ბოლშევიკების ძლიერ ერთეულებს გარს შემოერტყენ და მოსპეს: ტყვედ იქმნა წამოყვანილი 25 000 ჯარის კაცი, წამოღებულ იქმ-

ივნისითგან 11-მდე მოსპობილ იქმნა ჰაერში და მიწაზედ 456 საბჭოთა აეროპლანი. ამავე დროს გერმანელებმა დაჰკარგეს 47. — ჩრდილოეთის ყინულის ზღვაში და შავ ზღვაში გერმანიის ავიაციამ და იტალიის სწრაფლ-მსრბოლმა ნავებმა მოსპეს 1 ტორპედოს ნავთა განმანადგურებელი, 1 წყალ-ქვეშა ნავი, 1 ზარბაზნიანი ნავი და 2 სატრანსპორტო გემი, სულ 13 000 ბრ. რ. ტონნისა, 1 დიდი მოტორიანი ნავი და 2 ტორპედოს ნავთა განმანადგურებელი საბჭოთა მძიმედ იქმნა დაზიანებული. — ინგლისში გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ბრაიტონს, პორტლანდს და რამოდენიმე სამხედრო ქარხანათა ადგილებს სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში. 3 ივნისითგან 16-მდე ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 307, გერმანიისამ 71 აეროპლანი. გერმანიის ავიაციამ განსაკუთრებით სევასტოპოლთან იქონია განმანადგურებელი შედეგი. 22 ივნისს ჩამოგდებულ იქმნა 199 და 24-ს 71 საბჭოთა აეროპლანი. ინგლისის ავიაცია დაეცა ჩრდილოეთ-დასავლეთი გერმანიის ქალაქებს ოსნაბრუკს და ემდენს და მიაყენა ზარალი. სამაგიეროდ გერმანიის მძიმე ბომბერებმა მძიმედ დააზიანეს საუთჰემპტონი, ბირმინგჰემი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ინგლისის კუთხეები. ინგლისის ავიაციის დაცემისას გერმანიაზედ და დაჭერილ დასავლეთ ქვეყნებზედ ინგლისელებმა დაჰკარგეს 50 აეროპლანი. 1 ივნისითგან 1941 წლ. 31 მაისამდე 1942 მათ დაჰკარგეს 4200 აეროპლანი.

---

გერმანიის წყალ-ქვეშა ნავებმა განაგრძეს მათი მოქმედება პანამის არხამდე და ჩაძირეს წარსულ კვირაში ამე-



ბოლშევიკების ტანკი ვოლხოვთან დანგრეული ორი გერმანელი ჯარისკაცის მიერ

ბირ ჰახეიმის აღების შემდეგ რომმელის ტანკები გაეშურენ ჩრდილოეთისაკენ, მოუარეს გამაგრებულ ადგილებს ინგლისელთა აინ-ელ-ღაზიდას და ჰახეიმის შუა და აკრომის გზით მიახწიეს ზღვის ნაპირს. ინგლისელების ძალები ამგვარად შუაზედ გაიჭრა, დასავლეთის ნწილს ღერძის სახელმწიფოთა ძალები შემოერტყენ გარს, აღმოსავლეთის ნაწილითგან კი ზოგმა ტობრუკში შეასწრო, ზოგი კი, გერმანელთაგან და იტალიელთაგან დევნილი,



რ. ტონნისა და 1 სადარაჯო გემი. ნაღმების მძებნელმა ნავებმა მოსპეს ჰოლლანდიის და საფრანგეთის ნაპირებზედ 4 ინგლისის სწრაფლ-მავალი ნავი და 1 ზარბაზნიანი ნავი. 4 ამერიკის სავაჭრო გემი და ინგლისის რამოდენიმე ზარბაზნიანი ნავი დააზიანა გერმანიის საზღვაო არტილერიამ.

---

როგორც განსაკუთრებული ცნობით გვაუწყა ფჺურერის მთავარმა შტაბმა გერმანიის და იტალიის ჯარებმა რომმელის წინამძღოლობით აიღეს ძლიერი სიმაგრე ტობრუკი 21 ივნისს. ამას მოჰყვა ცნობა, რომ ღენერალ-ობერსტ რომმელს მისი დიდი დამსახურებისათვის ებოძა ფჺურერისაგან ფელდმარშლობა. 6 ღენერალი, 1 ადმირალი და 25 000 მტრის ჯარის კაცი ტყვედ იქმნა წამოყვანილი. დავლა იარაღისა,

# ბოლშევიზმის ბრძოლა ერისა და მისი კულტურის წინაალმდეგ.

## უჯიშოთა საზოგადოება

(პირველი გვერდის გაგრძელება)

ეს კეთილშობილი, დიდ სულიერ თვისებათა მქონე ნაწილი ერისა ანიჭებს ერს სიშვენიერეს და არის შემქმნელი მისი კულტურისა, ჰქმნის მის ისტორიას, მის დიდებას; იგი ანიჭებს მის ცხოვრებას ღირებულებას და ჰქმნის მის ღირსებას და შესაფერ ადგილს ერთა შორის, კაცობრიობის წიაღში.

ადამიანი მემკვიდრეობით მიიღებს თავის თვისებათ, კეთილთ თუ უკეთურთ, თავის შემქნელთაგან. მსგავსი ყოველი მსგავსსა შობს. და თუ ერის წიაღში მისი კეთილშობილი ჯიში მაგარია და საუკუნეთა განმავლობაში ინახება, ერი შვენიერია და მას მოეპოვება დაუშრეტელი წყარო შემოქმედებისა; იგი წინ მიდის და მისი ისტორია დიდებითა და ბრწყინვალებით არის აღსავსე. ხოლო თუ მრავალი მიზეზით ერმა ჯიში დაჰკარგა, მის წიაღში განმრავლდა უვარგისი რასიული ელემენტები, — იგი გადაგვარდება და შეიძლება სრულიადაც მოისპოს.

ასეთი მაგალითი ბევრი ყოფილა ისტორიაში. ძველ საბერძნეთში, რომელსაც უკეთილშობილესმა და უშვენიერესმა ჯიშმა შეუქმნა უბრწყინვალესი კულტურა, უდიდებულესი ისტორია, ერი გადაგვარდა ამ ჯიშის შემცირებით და გადაგვარებით. განუწყვეტელმა ომებმა ბერძნის ტომთა ურთი-ერთ შორის და აგრეთვე ომებმა და თავს - დასხმამ აღმოსავლეთის უცხო თესლთა, მონობამ, რომელმაც ცუდი ჯიშის მონათა ღვარძლი ისე გაამრავლა საბერძნეთის სახელმწიფოში, რომ ძველი კეთილშობილი რასის მოქალაქეების რიცხვი უმ-

რითგან იტალიაში გადასახლებული ხალხისა შექმნა რომი და მისი სახელმწიფო, რომელიც ამ მცირე-რიცხოვან შემოქმედთა ენერგიით მსოფლიო იმპერიად გარდიქცა. მან შექმნა აგრეთვე უდიდესი კულტურა, უმაღლესი სამართალი, სახელმწიფოებრივობა, რომელმაც ათას წელს გასძლო და თვის მაღალ კულტურას აზიარა მრავალი ერი ევროპისა და აზიისა. და ეს უზარ-მაზარი სახელმწიფოც სწორედ ნამდვილ რომაელთა, ძველი შემოქმედი ჯიშის შემცირებამ და გადაგვარებამ მოსპო მას შემდეგ, რაც იტალიაში აფრიკითგან და აზიითგან მოზღვავებულმა მონებმა, ვაჭრებმა და ჯარის კაცებმა მათი მდარე ჯიშით სრულიად შერყვნეს კეთილშობილი სისხლი ისედაც შემცირებულ რომაელთა და მათ მონათესავეთა, ხოლო თვით უზომოდ გამრავლდენ. და თუ საშუალო საუკუნეთა და რენესანსის იტალიაში კვლავ დიდი კულტურა წარმოიშვა, ამას იტალიის ერი უნდა უმადლოდეს გერმანიის სისხლის ტომებს, რომლებმაც საუკეთესო ჯიშისა და უმაღლესი შემოქმედებითი ნიჭის მქონე რასიული ელემენტები შესძინეს იტალიის მოსახლეობას ხალხთა გადასახლების დროს, როდესაც იმპერია რომისა დაიშალა. და რამდენედაც მეტი სისხლი შესწევს დღეს იტალიის ერს ამ დროითგან მომდინარე, იმდენად უფრო უზრუნველ ყოფილია მისი მომავალი, როგორც ევროპის დიდი შემოქმედი ერისა.

მსგავს მაგალითთა ჩვენება ისტორიითგან კიდევ შეიძლებოდა. აქ ეს ორიც ვიკმაროთ.

თვით მრთელ ერთა დიდ რევოლუციებს ყოველთვის თან-სდევს რასიული ბრძოლა ერის წიაღში. როგვარიც არის

წოდებული „დიდი რევოლუციის“ დროს და რომლითაც ბოლშევიკებმა საუკუნოებით დააქვეითეს საბჭოთა კავშირის ყოველი ერი და ახლა ყველა კულტურულ ერს კაცობრიობისა ექადებიან ამოსაგდებად.

ერთია რევოლუციათა დროს ახალი მეურნეობის, ახალი სამართლის შექმნის ცდა, როდესაც ძველ გაბატონებულ ნაწილებს ერისა ბევრი უფლება ერთმევა ან ეკვეცება მთელი ერის სასარგებლოდ, მეორეა ამ „გაბატონებულ კლასსთა“ ამოწყვეტა, რომელიც მატარებელია ხშირად ერის საუკეთესო ჯიშისა, წყარო მისი კულტურული შემოქმედებისა. როდესაც ქვე-ადამიანთა რევოლუცია ამ ორ მიზანს განზრახ ურევს ურთიერთში და ერსართმევს „სამართლიანობის „სახელით მის საუკეთესო ნაწილს, ეს ერი დიდი ხნით იღებს ძნელად გასამრთელებელ ჭრილობას და შეიძლება სრულიადაც დაიღუპოს.

საფრანგეთის „დიდი რევოლუციის“ ქვე- ადამიანებმა საუკეთესო ჯიში ამოწყვიტეს ფრანგის ერისა იმ მიზეზით, რომ მათ ქონება და პრივილეგიები ჰქონდათ, როგორც გაბატონებულ კლასსებს. ხოლო მათ არც იცოდენ, რას ჩადიოდენ, არამედ ინსტინქტით ებრძოდენ იმ რასას, რომელიც შემქმნელი იყო საფრანგეთის ბრწყინვალე კულტურისა, მისი სახელმწიფო ძლიერებისა და სამხედრო დიდებისა. ნაპოლეონის ომებმა აგრეთვე შეიწირა დიდი ოდენობა ფრანგთა დანარჩენი საუკეთესო სისხლისა და ეს არის სხვა მიზეზთა შორის ერთი დიდი მიზეზი საფრანგეთის დასუსტებისა ეროვნულად, კულტურულად და პოლიტიკურად.

ხოლო რუსეთის ქვე-ადამიანთა მეთაურებმა შეგნებულად სცადეს მოესპოთ კეთილშობილი რასიული ელემენტები ყველგან, სადაც კი მათი ბატონობა განმტკიცდა. მოსპობა გაბატონებულ კლასსთა, — თავად-აზნაურობისა, „წვრილი ბურჟუაზიული“ გლეხობისა, და

ფაშისტური რევოლუციისა სრულიად წინაალმდეგი იყო საფრანგეთის რევოლუციისა და ბოლშევიკური რევოლუციისა. ერის ორგანიზმის პრინციპი უპირველეს ყოვლისა მისი ჯიშის შენახვისა დაგაუმჯობესებას მოითხოვს. და ამ ჯიშს უვლის და ინახავს იგი გერმანიაში და იტალიაში კანონთა მთელი სისტემით, თავად-აზნაურთა შორის არის იგი დაცული, გლეხობაში თუ სხვა ნაწილებში ერისა. აქ შეიცვალა შინაგანი სოციალური აგებულება ერისა, ხოლო მისი კეთილშობილი ნაწილები კი არ მოუსპიათ, არამედ მათ უმაღლესი ეროვნულ-სოციალური მოვალეობა დაუსახა სახელმწიფომ. აქ ისპობა მხოლოდ კრიმინალური ელემენტები ერისა, მცირდება რიცხვი უვარგისთა და სნეულთა, ილაგმება და ბოლოს მოისპობა ქვე-ადამიანი, — ყოველი მდარე ნაწილი ერისა, ისეთი, რაგვარიც ბოლშევიზმმა საჭოთა კავშირში გააბატონა და რომელსაც იგი ასპობიებს საუკეთესო თესლს ადამიანთა მის უზარ-მაზარ სივრცეზედ.

არ ვიცით, რა ზომით გადურჩა ბოლშევიზმის ტერრორს ძველთაგან ცნობილი კეთილ-შობილი ჯიში ქართველისა. ეს ტერრორი საქართველოში კიდევ უფრო განზრახ და კიდევ უფრო სასტიკად იყო წარმოებული ვიდრე სხვა ქვეყნებში საბჭოთა კავშირისა ჩვენ საკუთარ ქვე-ადამიანთაგან, რუსეთითგან მოსულ უცხო კრიმინალთაგან და სხვა მტერთაგან ქართველთა და საქართველოისა. უკეთესი თავადი და აზნაური მოსპეს როგორც „ყოფილი ადამიანი“, ყოფილი ბატონი, უკეთესი გლეხი — როგორც კულაკი, უკეთესი სამღვდელო— როგორც სიბნელის გამავრცელებელი, უკეთესი ვაჭარი—როგორც სპეკულანტი, ნამდვილად კი იგინი სპობდენ ენერგიულ ელემენტებს ერისა, რომლის ენერგიისა და ვაჟკაცობის შიში ჰქონდათ, ვინაითგან კეთილშობილს, გმირს, მოაზრეს, ცხოვრების აღმსარებელს არ შეუძლია პიტანოს ქვე-ადამიანთა ბატო-

# პირველი ქართული ლეგიონი

## 1914-1920.

1914 წლ. ომის დასაწყისშივე გერმანიის წარმომადგენელმა ქ. ჟენევაში კავშირი გააბა „საქართველოს სეპერატისტული პარტიის“ კომიტეტთან. ამ უკანასკნელს, რომლის თავმჯდომარე აწ განსვენებული პეტრე სურგულაძე იყო, უკვე 1910 წლითგან ქ. ჟენევა ჰქონდა არჩეული თავისი მოქმედების ცენტრად და იქვე სცემდა პარტიულ ორგანოს „დამოუკიდებელ საქართველოს“.

გერმანიის წარმომადგენელმა ბერლინითგან მიღებული განკარგულებით წინადადება მისცა „სეპარატისტულ“ კომიტეტს წარეგზავნა მას ქ. სტამბოლს თავისი მანდატური ოსმალეთის მთავრობასთან და გერმანიის ელჩ ბარონ ვანგენჰაიმთან შესათანხმებლად და მასთან თანამშრომლობის მოსაგვარებლად.

კომიტეტმა ეს საქმე მიანდო თავის წევრს, იმ დროს ჟენევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს, ბ-ნ ლეო კერესელიძეს და იგი საჭირო მანდატით აღჭურვა.

სექტემბრის შუა რიცხვებში ბ-ნი ლეო კერესელიძე ჩავიდა ქ. სტამბოლს და რამდენიმე დღეში შეუთანხმდა გერმანიის ელჩს აწ განსვენებულ ბარონ ვანგენჰაიმს. ხოლო ოსმალეთთან მოლაპარაკება კი მეტად გართულდა. კერესელიძემ მოთხოვა ოსმალეთის მთავრობას ხელშეკრულებითი გარანტიები საქართველოს სრული დამოუკიდებლობის ცნობისა განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში. ბოლოს, ექვსი კვირის რთული მოლაპარაკების შემდეგ, დადებულ იქმნა კერესელიძის მოთხოვნილებათა შინაარსის ხელშეკრულება ოსმალეთთან.

ამ ხელშეკრულების ერთ ერთი მუხლის ძალით „სეპარატისტულ“ კომიტეტის ოპერაციო სივრცე შეიცავდა ერზერუმითგან ვიდრე შავ ზღვამდე ხაზს. ლეგიონს მიუჩინეს შავი ზღვის ხაზი.

მესამე არმიის შტაბის ბრძანებით ლეო კერესელიძემ ჩაიბარა 1916 წ. შემდგარი ლეგიონი. მაშინ ლეგიონერთა რიცხვი 2000 კაცს აღემატებოდა და გადარჩეული იყო 3 ბატალიონად.

პირველ თვეებში ლეგიონი წარმოადგენდა მხოლოდ მცირე-რიცხოვან მოხალისეთა რაზმს. ხოლო 1916 წლის ბოლოს თავისი დისციპლინით, გაწვრთვნით და გარეგნულად იგი სავსებით რეგულიარულ ძალად გადაიქცა. ამავე წელს ლეგიონის უფროსმა ლეგიონითგან გამოჰყო 60—70 რჩეული ჯარის კაცი და ქვე-ოფიცრები და მათგან შექმნა სამხედრო ჟანდარმერია.

1916 წ. ლეო კერესელიძეს დაევალა სირია-მესოპოტამიის გზით სპარსეთ-კავკასიის საზღვრებისაკენ წასვლა საგანგებო სამხედრო დავალებით. სხვათა შორის ამ ექსპედიციაში მას თან ახლდა ლეგიონერები: 30 ქვე-ოფიცერი და 5 ოფიცერი. მოსულ-ბაღდადის რაიონებში ოსმალეთის სარდლობის მიერ კერესელიძეს ჩაბარდა ქურთი მოხალისეებისაგან ცხენოსანი რაზმის შედგენა და გაწვრთნა.

კერესელიძის შემდეგ ლეგიონის უფროსად დაინიშნა ჯერ ერთი გერმანელი ოფიცერი და მერე იგი შეცვლილ იქმნა მეორით. 1918 წლის დასაწყისს ლეგიონის ნაწილი ოსმალეთითგან გადაყვანილი იქმნა რუმინიაში, სადაც იგი ასრულებდა საგარნიზონო სამსახურს და თანაც ებარა ტყვეთა ბანაკი.

იმავე წელს ლეგიონი დაბრუნდა უკვე დამოუკიდებელ საქართველოში და ქართული მთავრობის განკარგულებით მის უფროსად ხელმეორედ დაინიშ... ბით სავსე გრძნობას გერმანელებისადმი. ამ შემთხვევის ჟამს გერმანიას ომი უკვე წაგებული ჰქონდა. ხოლო ინგლისი და საფრანგეთი მსოფლიოს ყოვლად ძლიერთა სახით ევლინებოდენ და მისი ბედის გადამწყვეტ როლში იყვნენ გამოსულნი. მით უმეტეს საქართველოს მომავალი ბედი მათზედ იყო დამოკიდებული. მაგრამ დავითის და თამარის ტრადიციებზედ აღზრდილს და რუსთაველის რაინდული კულტით გაჟღენთილ ქართველ ხალხს თუ ეროვნული არსებობისათვის საკუთარი სისხლი და სიცოცხლე არ დაუზოგავს, თავისი ნამუსი და ქართული. თავმოყვარეობაც თვით არსებობაზედ მაღლა დაუყენებია. სხვათა შორის ერთ დიდ მიზეზთაგანი იმ სასწაულისა, რომ ჩვენი სამშობლო ამდენ უბედურობას გადაურჩა, თავისი ეროვნული სახე შეინარჩუნა და არც ერთი შემომსევის წინაშე ქედი არ მოიხარა, არის ის, რომ მან თავის ფიზიკურ არსებობაზედ მაღლა ეროვნული ნამუსი და ეროვნული სიამაყე დააყენა. ქართველი ერი იყო და გვწამს, რომ დარჩება ერთგული იმ უდიდესი დოგმის, რომელიც ღვთაებრივმა რუსთაველმა საქართველოს სულის სიღრმითგან ამოიღო და გენიოსური ფორმით გვიანდერძა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“-ო.

ამ ეროვნული პრინციპის მიხედვით მოიქცა ქართველი ერი და ლეგიონიც, როცა ძლევა-მოსილ ინგლისელებს საქართველოში ჩარჩენილი გერმანელები არ დაანება. ამისი მრავალი მაგალითებია.აქ ჩვენ მოგვყავს მხოლოდ ერთი მაგალითი, რომელიც პირდაპირ ლეგიონს შეეხება, ვინაითგან ამ წერილის საგანს ლეგიონი შეადგენს. საქართველოში ჩარჩენილ გერმანელებითგან 10 გერმანელი და ორი ავსტრიელი ოფიცერი ლეგიონს შეეხიზნა. ლეგიონის უფროსმა იგინი ლეგიონის ოფიცრებად ჩარიცხა. ქ. თბილისში ლეგიონის ყაზარ... ლმა კერესელიძემ ლეგიონი და გერმანელი ოფიცრებიც თან წაიყვანა ჩეჩნეთ-ქისტეთს, სადაც ლეგიონმა და გერმანელმა ოფიცრობამ თავი ისახელეს. 1920 წელს ლეგიონი მიდის დაღესტანს ხსვა ქართულ ნაწილებთან ერთად, რომელიც თბილისში იქმნა შედგენილი. ლეგიონი იქაც იჩენს დიდ ვაჟკაცობას. მეტადრე მდინარე იალამაზედ, სადაც დენიკინის ჯარი სასტიკად დაამარცხა.

1920 წელს ლეგიონი დაშლილ იქმნა.

ასეთია, სულ მოკლედ, ისტორია პირველი ქართული ლეგიონისა. მას აქეთ რაც რუსთა ბატონობის წინააღმდეგ უდიდესი მებრძოლი, ალექსანდრე ბატონიშვილი, ხოლო მის შემდეგ დასავლეთ საქართველოს აჯანყება დამარცხდა, ე. ი. მთელი ასი წლის განმავლობაში, აღარც ქართული ჯარი არსებულა და აღარც ბრძოლის დროშა გაშლილა ქართველთა ხელით. ამის შემდეგ ქართული დროშა, დროშა სამშობლოს თავისუფლეისათვის ბრძოლისა პირველად ქართულმა ლეგიონმაააფრიალა. ამიტომ ლეგიონი იყო წინამორბიდი დამოუკიდებელი საქართველოს არმიისა, როგორადაც იგი წინამორბედია იმ ახალი ლეგიონებისა, რომლებიც დღეს გერმანიაში სდგებიან და საქართველოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად ემზადებიან. მე ქართული პირველი ლეგიონის ერთ-ერთი მხედარი ჩემს დღეს კიდევ ცოცხალ თანამებრძოლთა სახელით ვესალმები ახალ ლეგიონებს და ვუსურვებ მათ გამარჯვებას. ხოლო თქვენ, ბრძოლის ველზედ დაცემულნო, პირველი ლეგიონის მხედარნო, მშვიდობით განისვენეთ: თქვენმა „განწირულის სულის კვეთება“-მ ფუჭად არ ჩაიარა და თქვენი მერნების მიერ თელილ გზაზედ დღეს ახალი ლეგიონები მიჰქრიან.

ლეგიონერი.